ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 247

ქალაქი ქუთაისი 30 მარტი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირისა და აკაკი ხორავას ქუჩების გადაკვეთაზე, № 31 საჯარო სკოლის დასავლეთ მხარეს არსებულ მოედანზე მოწყობილი სატრანსპორტო წრიული კუნძულისათვის „მშვიდობის მოედნის“ სახელის მინიჭების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიენიჭოს ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირისა და აკაკი ხორავას ქუჩების გადაკვეთაზე, №31 საჯარო სკოლის დასავლეთ მხარეს არსებულ მოედანზე მოწყობილ სატრანსპორტო წრიულ კუნძულს „მშვიდობის მოედნის“ სახელი.

/სიტუაციური რუკის ქაღალდის ვერსია
განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ზემოაღნიშნული სატრანსპორტო წრიული კუნძულის სახელდებასთან დაკავშირებით, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მისამართი: ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 30 მარტს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი

სიტუაციური რუკა

მასშტაბი 500

| | x | y |
|---|---|---|
| FID | NORTHING | EASTING |
| 0 | 308750,2 | 4680430,9 |
| 2 | 308750,5 | 4680437,7 |
| 3 | 308757,1 | 4680430,9 |
| 4 | 308750,2 | 4680424 |
| 5 | 308743,3 | 4680430,9 |

